

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი
კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა

ნანა კინწურაშვილი
ტერფის მიკოზის ეპიდემიოლოგიური თავისებურებანი
საქართველოს თავდაცვის ძალებში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
გიორგი გალდავა
მედიცინის დოქტორი, პროფესორი

თბილისი
2020

პრობლემის აქტუალობა:

ტერფის მიკოზი (tinea pedis) არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული დერმატოლოგიური პათოლოგია, რომელიც აზიანებს ტერფის კანს, უმთავრესად ფეხის თითებშია ნაკვეცბსა და ტერფის ფეხისგულისკენა (ძირისკენა) ზედაპირს. Tinea pedis - სოკოვანი ინფექცია, რომელიც გამოწვეულია დერმატოფიტებით, წარმოადგენს ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც ასევე ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული დაავადებაა. ზრდასრული მოსახლეობის 70 %-ს სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც აღენიშნებოდა ტერფის მიკოზით ავადობა.

სოკოვანი დაავადებების სიხშირის მატება სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული, მათ შორისაა ტემპერატურისა და ტენიანობის მომატება. ამ დაავადების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ყოველწლიურად იხარჯება დაახლოებით 500 მილიონ აშშ დოლარზე მეტი. პათოლოგიის კონტაგიოზურობისა და მორეციდივე ხასიათის გამო, დერმატომიკოზებს შორის ფეხის მიკოზი არის ყველაზე გავრცელებული დაავადება, რაც განაპირობებს მის სამედიცინო და სოციალურ პრობლემად არსებობას.

ძალიან მნიშვნელოვანია ფეხის სოკოს ზუსტი დიაგნოსტიკა, რაც შემდგომში განაპირობებს მისი მკურნალობის ეფექტურობას. ტერფის მიკოზი წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს სხეულის სხვა მიდამოებში დერმატომიკოზის გავრცელებისათვის. ეს დაავადება ხშირად გადაეცემა აუტონოკულაციით, რაც დამატებით ხელს

უწყობს ხელის, საზარდულისა და ფრჩხილის სოკოს განვითარებას. ამ დაავადებასთან არის დაკავშირებული მრავალი უსიამოვნო შეგრძნება და დისკომფორტი, მაგ. ისეთები როგორცაა ძლიერი ქავილი, ტკივილი, კანის ნახეთქი, სისხლდენა, უსიამოვნო სუნი. ფეხის სოკო ხშირად ღია კარია ბაქტერიებისათვის ფეხის ნახეთქების ზონაში შესაღწევად, რაც შემდგომში იწვევს მრავალ ანთებით რეაქციას.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა ტერფის სოკოს გლობალური გავრცელება. ეს მოვლენა განაპირობა ურბანიზაციის ზრდამ, სპორტული და ფიტნეს დარბაზების ინტენსიურმა განვითარებამ. ცნობილია, რომ გარკვეული პროფესიული ჯგუფები ინფექციის განვითარებისათვის განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონენი არიან. მაგალითად, ლიტერატურული წყაროების მიხედვით მაღაროელთა 79.2%-ს და მარათონულ მორბენაღთა 31%-ს აღენიშნა მიკოლოგიურად დადასტურებული ტერფის მიკოზი. არსებული მწირი ლიტერატურული წყაროების მიხედვით, აღსანიშნავია, რომ სამხედროებში ტერფის მიკოზის გავრცელება გაცილებით მაღალია ვიდრე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებში. დამცავი ტანსაცმლის ჰერმეტიზაცია, ოფლიანობა, ფიზიკური დატვირთვა, სტრესი, კონტაგიოზურობა - (საერთო საშხაპე, ყაზარმები, აუზები) კანის დაავადებების განვითარების ფაქტორებია, რის გამოც სამხედროები არიან რისკის შემცველი პოპულაცია. სამხედრო ფეხსაცმლის რეგულარული ხმარება ხდის ამ დაავადების განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობას და

აღნიშნული მიზეზი სამხედროებს გამოარჩევს სამოქალაქო პირებისაგან.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის ძალებში ამ დაავადების ფუნდამენტური შესწავლა და კომპლექსური ანალიზი. შეფასდა არის თუ არა ქართველ სამხედროებში ტერფის მიკოზის განვითარებისა და გავრცელების განსხვავებული მონაცემები სამოქალაქო პირებთან შედარებით, ასევე იმ ქვეყნებთან შედარებით სადაც ჩატარებულია მსგავსი კვლევები და რა თავისებურებებით ხასიათდება იგი.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- ❑ ტერფის სოკოს კლინიკური, ლაბორატორიულად დადასტურებული ფორმების პრევალენტობისა და ეპიდემიოლოგიის მახასიათებლების განსაზღვრა საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებში; (ასაკთან, სამხედრო რანგთან, ნამსახურეობასთან, სამხედრო სამსახურის სახეობასთან, ჰიგიენურ და საყოფაცხოვრებო პირობებთან, სამხედრო ფეხსაცმლის ტარების პერიოდთან დღის განმავლობაში და სამხედრო ფეხსაცმლის რაოდენობასთან კავშირი)
- ❑ კორელაციების განსაზღვრა დაავადებასა და რისკის ფაქტორებს შორის;

- ❑ ტერფის მიკოზის კლინიკური, ლაბორატორიულად დადასტურებული ფორმების პრევალენტობის განსაზღვრა თავდაცვის ძალების სამოქალაქო პირებში;
- ❑ სამხედრო და სამოქალაქო პირების მონაცემების შედარებითი ანალიზი;
- ❑ ქართველი სამხედროების ტერფის მიკოზების მონაცემების შედარება სხვადასხვა ქვეყნების სამხედროების მიკოზების მონაცემებთან;
- ❑ რეგრესიული ანალიზის საშუალებით ტერფის მიკოზის განვითარების რისკის შეფასება;
- ❑ ტერფის მიკოზის პრევალენტობის შემცირების გზების განსაზღვრა;

კვლევის სიახლე:

საქართველოში ტერფის მიკოზის განვითარებისა და გავრცელების შესწავლის მიზნით, არასოდეს არანაირი კვლევა არც სამოქალაქო და არც სამხედრო სექტორში არ ჩატარებულა. შესაბამისად არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები ამ დაავადების შესახებ.

ჩატარდა ფართომამუტაბიანი ეპიდემიოლოგიური კვლევა თავდაცვის ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფებში.

რადგან სამოქალაქო სექტორში ტერფის მიკოზის შესახებ ეპიდემიოლოგიური მონაცემის მოძიება მისი არარსებობის გამო ვერ მოხერხდა, ჩვენ გამოვიკვლიეთ თავდაცვის სამინისტროში დასაქმებული საჯარო მოხელეები

და მიღებული შედეგები შევადარეთ სამხედრო მოსამსახურებთან ჩატარებულ კვლევის შედეგებს.

კვლევის მასალა და მეთოდები:

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 729 მომქმედმა სამხედრო მოსამსახურემ და 279 სამოქალაქო პირმა საქართველოს თავდაცვის ძალებიდან. კვლევის ტიპი დიზაინის მიხედვით არის - ეპიდემიოლოგიური, ბუნების მიხედვით რაოდენობრივი - კორელაციური, ხოლო მიმდინარეობის პერიოდის მიხედვით კი ჯვარედინი-სექციური. დაავადების პათოგენეზიდან გამომდინარე, კვლევა ჩატარდა ზაფხულის თვეებში. კვლევის დაწყებამდე ყველა მონაწილემ მიიღო ინფორმაცია კვლევის შესახებ და ხელმოწერით დაადასტურეს თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე. გამომდინარე იქედან რომ ჩვენ გვჭირდებოდა მიღებული მონაცემების გენერალიზება, ამისათვის კვლევაში ჩართული პირების რაოდენობა გამოთვლილ იქნა *Slovin's formul-ის საშუალებით* მთლიანი თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობის გათვალისწინებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს თავდაცვის ძალების 8 სხვადასხვა სახეობის სამხედრო ნაწილმა, რომლების დისლოცირებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. სამხედრო ნაწილიდან აღებული იქნა სამხედროების გვარობრივი სია და შემდგომ რანდომიზაციით შეირჩა კვლევაში მონაწილე 1000 პირი, რომლებიც გამოიკითხნენ კვლევაში ჩართვისა და გამორთვის კრიტერიუმების მიხედვით, რის შედეგადაც

კვლევაში ჩართვის კრიტერიუმი დააკმაყოფილა ჯამში 729 სამხედრომ. თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის 6 სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლებიდან რანდომიზაციით შეირჩა 325 პირი, რომელთაგან კვლევაში ჩართვის კრიტერიუმი დააკმაყოფილა 279 სამოქალაქო პირმა, რომლებიც ასევე ჩაერთვნენ კვლევაში.

სამხედროებისათვის და სამოქალაქო პირებისათვის კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო ერთნაირი: 1. სქესი - მამაკაცი; 2. ასაკი 18-50 წწ; 3. ხელმოწერითი თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე. გამორიცხვის კრიტერიუმი კი იყო: 1. მკურნალობა ტერფის მიკოზის დიაგნოზით ბოლო 6 თვის განმავლობაში; 2. ტერფის სხვა დაავადებები; სამოქალაქოებისათვის ჩართვის კრიტერიუმში დავამატეთ პირობა რომ მონაწილეობა არ უნდა მიეღო ყოფილ სამხედროს.

სამხედროებმა შეავსეს კვლევის ჯგუფის მიერ წინასწარ მომზადებული სტრუქტურირებული კითხვარები. კვლევის ჯგუფის მიერ განხორციელდა ყველა მათგანის გარეგნული-კლინიკური დათვალიერება. დაავადების კლინიკური სიმძიმის შესაფასებლად გამოვიყენეთ - ვალიდური მარტივი ქულების სისტემა AFSS (Athlete's foot severity score.) AFSS მოიცავს კლინიკურ შეფასებას 3 კლინიკური ნიშნის მახასიათებლის გამოყენებით: ერითემა, ნახეთქი და/ან მაცერაცია ქუსლზე და თითებშუა არეებში. ტერფის მიკოზის კლინიკური არსებობა შეფასდა AFSI (Athlete's foot severity Index) გამოყენებით. სამხედროებს სადაც AFSS>1 აღებული იქნა მასალა ლაბორატორიული

კვლევისათვის. ქულა 0-2 აღნიშნავს ერთემის ან ნახეთქების არსებობას ფეხის პლანტარულ ან თითებში არეებში. 0 ქულა - არცერთი კლინიკური ნიშანი, 1 ქულა - მინიმალური ნიშნები და 2 ქულა - ზომიერი ან მძიმე კლინიკური ნიშნები. სამხედროები რომლებსაც AFSS>1 ჩაითვალნენ ტერფის მიკოზის დიაგნოზის მაღალი რისკის ქვეშ განსხვავებით სამხედროებისაგან რომლებსაც ჰქონდათ AFSI=0-1. დიაგნოზის დასადასტურებლად, აღმოჩენილი პათოლოგიური კერებიდან აღებულ იქნა მასალა ლაბორატორული კვლევისათვის. მასალას წარმოადგენდა დაზიანების კერებიდან აღებული ანაფხეკი, რომელიც თავსდებოდა ერთჯერად სასაგნე მინაზე და მუშავდებოდა KOH-ის 10%-იანი ხსნარით. სოკოს მიცელიუმების გამოვლენის მიზნით ხდებოდა პრეპარატის დათვალიერება მიკროსკოპით (HumaScope Plus). მიკროსკოპულ კვლევას ატარებდა ამ დარგში დიდი გამოცდილების მქონე ექიმ-ლაბორანტი, რომელიც იყო კვლევის ჯგუფის წევრი. მიკროსკოპული დათვალიერება ხდებოდა კვლევის ჩატარების ადგილზე. ექიმ - ლაბორანტი მასალას ამოწმებდა ისე, რომ არ არ ჰქონდა წვდომა კლინიკურ მონაცემებთან და კვლევას აკეთებდა ბრმად. ნიმუში ითვლებოდა პოზიტიურად, როდესაც მიკროსკოპული გამოკვლევით დადასტურდებოდა კვლევის მასალაში სპორების არსებობა. გამომდინარე იქედან რომ ჩვენი კვლევის მიზანი იყო, დაავადების პრევალენტობის გამოვლენა სამხედროებში და კორელაციური კავშირების დადგენა დაავადებასა და სხვადასხვა ფაქტორებს შორის, კვლევის მიმდინარეობის

დროს მიზანშეწონილად არ მივიჩნით გაგვეკეთებინა გამომწვევთა სახეობრივი იდენტიფიკაცია.

რეპრეზენტატულობისათვის კვლევაში მონაწილეობა მიიღო ყველა რანგის სამხედრომ სხვადასხვა სამხედრო ნაწილიდან. კვლევის პროექტი დამტკიცებული იქნა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბიოეთიკური საბჭოს მიერ, ოქმი # 2017-042, 21.07.2017 წ. კვლევის ჩატარება შეთანხმებული იყო ასევე საქართველოს თავდაცვის ძალებთან. შესაბამისი მონაცემების შეგროვებამდე ყველა მონაწილისაგან აღებულ იქნა ინფორმაციული თანხმობის ხელმოწერა.

შერჩეული სამხედრო მოსამსახურეები სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით დაყავით რამოდენიმე ჯგუფად: I ჯგუფი ასაკის მიხედვით: ა) 18-25წწ (n=231); ბ) 26-35წწ (n=284); გ) 35>წწ (n=214). II. ჯგუფი სამხედრო რანგის მიხედვით: ა) სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები - რიგითები (n=161); ბ)საკონტრაქტო (პროფესიული) კაპრალ-სერჟანტი (n=410), და გ) ოფიცრები (n=158). III ჯგუფი: სამხედრო სამსახურში ნამსახურეები წლების მიხედვით: ა) სამხედროები რომლებსაც ნამსახურეები ქონდათ 10 წელზე ნაკლები (n=508) და ბ) სამხედროები რომლებსაც ნამსახურეები ქონდათ 10 წელზე მეტი (n=221). IV ჯგუფი: დღის განმავლობაში სამხედრო ფეხსაცმლის ტარების პერიოდის მიხედვით კი დაიყვნენ 4 ქვეჯგუფად; I ქვეჯგუფი (n=161) სამხედროები, რომლებსაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ დაახლოებით 14 სთ დღის

განმავლობაში, II ქვეჯგუფი (n=145) სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ 3 დღეში 1 ჯერ 24 სთ-ის განმავლობაში, III ქვეჯგუფი - (n=265) სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ სამუშაო დღეებში 08:00-20:00 სთ-მდე და IV ქვეჯგუფი (n=158) - სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ მხოლოდ სამუშაო დღეებში 09:00-18:00 სთ-მდე. V ჯგუფი: გამოკვლეული სამხედროები ასევე დაყოფილ იქნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილების მიხედვით სადაც ისინი მსახურობდნენ: 1. შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზა - (n=93) 2. საავტომობილო ბაზა - (n=68), 3. დაცვის საკომენდატო ასეული - (n=101) 4. მე-6 საარტილერიო ბრიგადა (n=281), 5. ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა (n=48) 6. გენერალური შტაბი (n=58) 7. ავიაციის სარდლობა (n=22) 8. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი (n=58)


კვლევის შედეგების მათემატიკურ-სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 22-ის (Statistical Package for Social Sciences) გამოყენებით.

კვლევის შედეგების განხილვა

გამოკვლეული სამხედროების საშუალო ასაკი იყო 30.46 ± 8.42 (დიაპაზონი:18-50 წწ), ხოლო სამოქალაქო პირებში - 34.11 ± 7.23 (დიაპაზონი:21-50 წწ).

კვლევაში ჩართული 729 სამხედროდან 46,64%-ს (n=340) აღმოაჩნდა კლინიკურად დადასტურებული ტერფის მიკოზი, მათგან ლაბორატორიულად დადასტურდა 54,11%-ში (n=184/340) რაც შეადგენს საერთო გამოკვლეულ (729)

სამხედროების 25,24%-ს (n=184/729). მაშინ როცა 279 სამოქალაქო პირიდან კლინიკური ტერფის მიკოზი აღმოჩნდა 21.86% (n=61) მათგან ლაბორატორიულად დადასტურდა 63.93%-ში (n=39/61) რაც შეადგენს საერთო გამოკვლევულ (279) სამოქალაქო პირის 13.98%-ს. (n=39/279) ტერფის მიკოზის კლინიკური ფორმების მიხედვით კი მონაცემები გადანაწილდა შემდეგნაირად: ინტერდიგიტალური 70,88%(n=241); ანთებითი - 12,94%(n=44); ჰიპერკერატოზული - Moccasin 14,11%(n=48); წყლულოვანი კი მხოლოდ 2,05%-ში (n=7) გამოვლინდა. სამხედროებში ორივე პათოლოგია ერთდროულად (ლაბორატორიულად დადასტურებული ტერფის მიკოზი და კლინიკური ონიქომიკოზი) აღმოაჩნდა 10.13%-ს (n=74). მულტივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა რომ ტერფის მიკოზისა პრევალენტობა კავშირშია ასაკთან. კერძოდ დადასტურებული ტერფის მიკოზის სიხშირე მცირდება ასაკის ზრდასთან ერთად (18-25 წლის ასაკში - 51.52% ხოლო >35- 23.83%) (p=0.0209). (იხ.დიაგრამა 1)



დიაგრამა 1. ტერფის მიკოზი ასაკობრივ ჯგუფებში

დაავადების კავშირი გამოვლინდა სამხედრო წოდებასთანაც - კლინიკური ტერფის მიკოზი სარწმუნოდ მცირდება რანგის ზრდასთან ერთად (p=0.0051) (იხ.ცხრილი 1)

დიაგნოზი	რიგითები n=161		სერჟანტ- კაპრალები; n=410		ოფიცრები ; n=158		p	F
	abs	%	abs	%	abs	%		
კლინიკური ტერფის მიკოზი	91	56.52	188	45.85	61	38.61	0.0051	5.31
დადასტურებული ტერფის მიკოზი	65	40.37	87	21.22	32	20.25	<0.001	12.96
ინტერდიგიტალური კლინიკური ფორმა	76	47.20	120	29.27	45	28.48	0.001	9.57
ანთებითი კლინიკური ფორმა	13	8.07	23	5.61	8	5.06	0.4562	0.79
ჰიპერკერატოზული კლინიკური ფორმა	2	1.24	41	10.00	5	3.16	0.001	9.32
წყლულოვანი კლინიკური ფორმა	0	0.00	4	0.98	3	1.90	0.2210	1.51


ცხრილი 1. ტერფის მიკოზი წოდებრივ ჯგუფებში

რაც შეეხება სამხედრო სამსახურში ნამსახურეობის პერიოდს არ გამოვლინდა კავშირი დაავადების განვითარებასთან. (იხ.ცხრილი 2)

დიაგნოზი	სამხედრო ნამსახურეობის პერიოდი				F	p
	<10 წელი n=508		>10წელი n=221			
	abs	%	abs	%		
კლინიკური ტერფის მიკოზი	240	47.24	100	45.25	0.25	0.6202
დადასტურებული ტერფის მიკოზი	133	26.18	51	23.08	0.79	0.3759
ინტერდიგიტალური კლინიკური ფორმა	173	34.06	68	30.77	0.75	0.3867
ანთებითი კლინიკური ფორმა	33	6.50	11	4.98	0.63	0.4294
ჰიპერკერატოზული კლინიკური ფორმა	32	6.30	16	7.24	0.22	0.6384
წყლულოვანი კლინიკური ფორმა	2	0.39	5	2.26	5.68	0.0174

ცხრილი 2. ტერფის მიკოზის გავრცელება სამხედრო სამსახურში ნამსახურეობის მიხედვით


სამხედრო ფეხსაცმლის დღის განმავლობაში ტარების პერიოდის ქვეჯგუფებს შორის დადასტურებული ტერფის მიკოზი განაწილდა შემდეგნაირად (იხ. დიაგრამა 2)



დიაგრამა 2. ტერფის მიკოზი IV ჯგუფში (%)

დადასტურებული სოკოს სიხშირე სარწმუნოდ მაღალი იყო ვადიან სამხედრო მოსამსახურეებში (I ქვეჯგუფი - რომლებსაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ დაახლოებით 14 სთ დღის განმავლობაში), მაგრამ სარწმუნო განსხვავება არაა ოფიცრებსა (IV ქვეჯგუფსა - სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ სამუშაო დღეებში 9-18 სთ-მდე) და სერჟანტ-კაპრალებს (II და III ქვეჯგუფებს) შორის.

სამხედრო ქვედანაყოფების მიხედვით ტერფის მიკოზებისა და ონიქომიკოზის განაწილება მოცემულია დიაგრამა 3-ში



დიაგრამა 3. ტერფის მიკოზის განაწილება სამხედრო ნაწილების მიხედვით (%)

ონიქომიკოზი სარწმუნოდ მაღალი სიხშირით გამოირჩევა ავიაციის სარდლობაში; დაბალია შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზასა და სავტომობილო ბაზაზე. ტერფის მიკოზის კლინიკური გამოვლენა სარწმუნოდ დაბალი სიხშირით აღინიშნა გენერალურ შტაბში, აღებული მასალა და შესაბამისად დადასტურებული ტერფის მიკოზი ყველაზე ნაკლები იყო ავიაციის სარდლობაში, ხოლო ტერფის მიკოზის როგორც კლინიკური ასევე დადასტურებული ფორმების სიხშირე სარწმუნოდ მაღალია საავტომობილო და შეიარაღების და ტექნიკის ბაზაში.

წინასწარ მომზადებული სტრუქტურირებული კითხვარებით გამოიკითხა სამხედროები ჰიგიენური და საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ; ანამნეზში კანის დაავადებების, დღის განმავლობაში სამხედრო ფეხსაცმლის ტარების პერიოდის, ასევე რამდენ წყვილ სამხედრო ფეხსაცმელს ხმარობდნენ მონაცვლეობით; საერთო საშხაპის სარგებლობის წესების შესახებ და სხვა ინფორმაციის შემცველი შევსებული კითხვარების ანალიზით გამოვავლინეთ კორელაციური კავშირები ამ დაავადების გავრცელებასა და რისკ ფაქტორებს შორის. (იხ.ცხრილი 3.)

რისკ ფაქტორები	კლინიკური ტერფის მიკოზი		დადასტურებული ტერფის მიკოზი	
	r	p	r	p
დადასტურებული ტერფის მიკოზი	0.622**	<0.001	-	-
ტერფის ონიქომიკოზი	0.163**	<0.001	0.207**	<0.001
1 წყ სამხედრო ფეხსაცმლის გამოყენება	0.354**	<0.001	0.249**	<0.001
2 და >წყ სამხედრო ფეხსაცმლის გამოყენება მონაცვლეობით	-0.354**	<0.001	- 0.249**	<0.001
უსიამოვნო სუნი და ნესტიანი ფეხი	0.073 [·]	0.048	0.086 [·]	0.020
წინდებით ძილი	0.041	0.264	0.011	0.772
საერთო საშხაპით სარგებლობა	0.074 [·]	0.044	0.025	0.497
ფეხის ზედაპირულად გამშრალება	0.010	0.783	0.043	0.249
ტერფის მიკოზი ჯარში მოსვლამდე	0.159**	<0.001	0.099**	0.007
რიგითები, რომლებსაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ დაახლ.14 საათი დღის განმ-ში	0.105**	<0.001	0.185**	<0.001
ოფიცრები, რომლებსაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ 8-9 საათი დღის გან-ში	-0.085 [·]	0.022	-0.060	0.103


ცხრილი 3. კორელაციური კავშირი ტერფის მიკოზის პრევალენტობასა და რისკ ფაქტორებს შორის.

საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებში ტერფის მიკოზის კლინიკურ გამოვლინებასთან სარწმუნო დადებით კორელაციას

ამჟღავნებს - დადასტურებული ტერფის მიკოზი $r=0.622^*$; $p<0.001$; ტერფის ონიქომიკოზი - $r=0.163^*$; $p<0.001$; ვადიანი სამხედრო, რომელსაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვია 14 საათი - $r=0.105^*$; $p=0.004$; 1 წყვილი სამხედრო ფეხსაცმლის გამოყენება - $r=0.354^*$; $p<0.001$; უსიამოვნო სუნი და ნესტიანი ფეხი - $r=0.073$; $p=0.048$; საერთო საშხაპით სარგებლობა - $r=0.074$; $p=0.044$; ტერფის მიკოზი ჯარში მოსვლამდე $r=0.159^*$; $p<0.0001$; ხოლო უარყოფითს - ოფიცერი მაღალი რანგი, რომელსაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვია 9-18 საათამდე - $r=-0.085$; $p=0.022$; 2 და მეტი სამხედრო ფეხსაცმლის გამოყენება მონაცვლეობით - $r=-0.354$; $p=0.000$; დადასტურებული მიკოზი სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს ონიქომიკოზთან - $r=0.207^*$; $p<0.001$ და ვადიან სამხედროებთან, რომელთაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვიათ ყოველდღიურად 14 საათის განმავლობაში - $r=0.185^*$; $p<0.001$.

კვლევის ანალიზის მიხედვით გამოირკვა, რომ საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებში ტერფის მიკოზის კლინიკურ გამოვლინებასთან ერთად, საკმაოდ მაღალია სხვადასხვა ობიექტური ჩივილების სიხშირეც. კვლევაში მონაწილე 729 სამხედროდან, 73,11%(533) მსახურობის პერიოდში განიცდიდა სხვადასხვა სახისა და ინტენსივობის დისკომფორტს, რომლებიც განპირობებული იყო ძლიერი ქავილით, ტკივილით, ნახეთქის არსებობით, მეორადი ინფექციით გართულებით, მძაფრი უსიამოვნო სუნით, ნესტიანი ფეხით და ა. შ. დისკომფორტის გამომწვევი


მიზეზების % მაჩვენებლები მოცემულია დიაგრამის სახით.
(დიაგრამა 4)



დიაგრამა 4. ტერფის დისკომფორტი სამხედროებში (%)

დიაგრამა 5-ში ასახულია მონაცემები, რომელიც შეეხება დისკომფორტის მიზეზებს იმ კონტიგენტში,

რომლებსაც ტერფის მიკოზი ლაბორატორულად ჰქონდათ დადასტურებული. ირკვევა, რომ სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალია ტერფის მიკოზით დაავადებულ პაციენტებში ქავილით (79,18%), უსიამოვნო სუნით (88.43%) და ნესტიანი ფეხით (69.41%) გამოწვეული დისკომფორტი.



დიაგრამა 5.დისკომფორტის სიხშირე ტერფის მიკოზის მქონე სამხედროებში.(%)


რეგრესიული ანალიზის საფუძველზე შევაფასეთ ტერფის მიკოზის განვითარების რისკ-ფაქტორები. ლოგისტიკურ რეგრესულ ანალიზში შევიტანეთ კითხვარებში მოცემული ყველა ფაქტორი, რომელთანაც გამოვლინდა დადებითი კორელაცია დაავადებასთან და ასევე რაოდენობრივი ცვლადები: ასაკი, წელთა ნამსახურეობა, სამხედრო რანგი. შედეგების ანალიზის მიხედვით ტერფის მიკოზის განვითარების ფარდობით შანსს ზრდის: საერთო საშხაპით სარგებლობა და ტერფის მიკოზი ჯარში მოსვლამდე, ხოლო ამცირებს 2 და მეტი სამხედრო ფეხსაცმლის გამოყენება მონაცვლებით . (დიაგრამა 6)



დიაგრამა 6. ტერფის მიკოზის განვითარების რისკის შეფასება

Tinea pedis ცნობილია, როგორც ორგანიზმში სხვა დერმატოფიტების მნიშვნელოვანი რეზერვუარი და შეიძლება იყოს ონქომიკოზის მიზეზიც. ჩვენი კვლევის მონაცემებით სამხედროებში ორივე პათოლოგია ერთდროულად (ლაბორატორიულად დადასტურებული ტერფის მიკოზი და ონიქომიკოზი) აღმოაჩნდა 10.13%-ში (n=74).

გამოკვლეულ სამოქალაქო პირებში კი შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: 279 სამოქალაქო პირიდან კლინიკურად ტერფის მიკოზი გამოვლინდა 21.86%-ს (61) და დადასტურებული ფორმა აღმოაჩნდა მხოლოდ 13.98%-ს(61) შედარება სამხედრო და სამოქალაქო პირთა კვლევის შედეგებისა წარმოდგენილია დიაგრამა 7 სახით.



დიაგრამა 7. სამხედრო და სამოქალაქო პირთა კვლევის შედეგები (%)


აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ tinea pedis- ის პრევალენტობა მნიშვნელოვნად მაღალია სამხედროებში, ვიდრე სამოქალაქო პირებში.

წინამდებარე კვლევის ანალიზმა აჩვენა რომ ტერფის მიკოზის პრევალენტობა კავშირშია ასაკთან, კერძოდ, უფრო ახალგაზრდულ ასაკობრივ ჯგუფებში აღინიშნება დაავადების უფრო მეტი შემთხვევა, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად tinea pedis- ის შემთხვევები მცირდება. უფრო მეტიც, გამოვავლინეთ დაავადების კავშირი სამხედრო წოდებასთანაც - კლინიკური ტერფის მიკოზი სარწმუნოდ მცირდება რანგის ზრდასთან ერთად. ხოლო რაც შეეხება სამხედრო სამსახურში ნამსახურეობის წელთა რაოდენობა ჩვენი კვლევის მონაცემების მიხედვით არ მოქმედებს დაავადების განვითარებაზე.


გამოვლინდა დაავადების კორელაციური კავშირი სხვადასხვა ჰიგიენურ და საყოფაცხოვრებო ფაქტორებთან, კერძოდ ტერფის მიკოზის კლინიკურ გამოვლინებასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს სამხედრო, რომელსაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვია დღეში დაახლოებით 14 საათი, იყენებს მხოლოდ 1 წყვილ სამხედრო ფეხსაცმელს, სძინავს წინდებით, ხშირად აქვს ნესტიანი ფეხი, აწუხებდა ტერფის მიკოზი ჯარში მოსვლამდე და სარგებლობს საერთო საშხაპით.

კანის, თმისა და ფრჩხილების სოკოვანი ინფექციები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საერთო პრობლემაა მთელ მსოფლიოში. სამხედრო მოსამსახურეებში გავრცელებულ სხვადასხვა დაავადებებს შორის ერთ-ერთი ხშირ

პათოლოგიებად გვხვდება კანის დაავადებები, რომელთა შორის სოკოვანი ინფექციების, განსაკუთრებით კი ტერფის მიკოზის პრევალენტობა საკმაოდ მაღალია. აღნიშნული დასტურდება სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევის შედეგებით. შვედარეთ ჩვენი მონაცემები სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევის შედეგებს: რომელიც წარმოდგენილია დიაგრამა 8 და 9 სახით.



დიაგრამა 8. კლინიკური ტერფის მიკოზის მონაცემები სხვადასხვა ქვეყნებში



დიაგრამა 9. ლაბორატორიულად დადასტურებული ტერფის მიკოზი სხვადასხვა ქვეყნებში.

ჩვენი კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ ტერფის მიკოზის გავრცელება სამხედროებში სარწმუნოდ მაღალია სამოქალაქო სექტორის მონაცემებთან შედარებით. მიღებული შედეგების ანალიზის მიხედვით მკაფიოდ შეიძლება გამოვყოთ ქართველი სამხედროები ამ დაავადების რისკ-ჯგუფების მქონე პოპულაციად. ამ სპეციფიურ პოპულაციაში დაავადების გავრცელების ხელშემწყობი პირობებია:

ოფლიანობა, ტრავმა, კონტაგიოზურობა, ჰიგიენური ნორმების დაუცველობა, საერთო საშხაპეები, ყაზარმები და რაც ყველაზე მეტად გამოარჩევს სამხედროს სამოქალაქო პირიდან ეს არის სამხედრო ფეხსაცმლის ინტენსიური, ხანგრძლივი დროით ტარება დღის განმავლობაში. სოკოვანი ინფექციების მაღალი სიხშირე სამხედრო ქვედანაყოფებში, სადაც ადამიანები ცხოვრობენ მჭიდროდ - შემცირდება პროფილაქტიკური ღონისძიებების გაძლიერებით და საგანმანათლებლო სწავლებებით.

დასკვნები

1. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ფეხის სოკოვანი ინფექციების გავრცელება და მათ მიერ გამოწვეული სხვადასხვა სახის დისკომფორტი ქართველ სამხედროებში სარწმუნოდ მაღალია სამოქალაქო პირებთან შედარებით.
2. მულტივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა რომ ტერფის მიკოზის პრევალენტობა სამხედროებში კავშირშია ასაკთან და სამხედრო რანგთან.
3. ტერფის მიკოზის გავრცელება არ კორელირებს სამხედრო სამსახურში ნამსახურეობის პერიოდთან.
4. კლინიკური ტერფის მიკოზის და დადასტურებული ტერფის მიკოზის სიხშირე სარწმუნოდ მაღალია შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზისა და საავტომობილო ბაზის სამხედროებში, აგრეთვე სამხედრო პოლიციის

დეპარტამენტში, ხოლო ონიქომიკოზი - ავიაციის სარდლობაში.

5. საერთო საშხაპის გამოყენება - $OR=1.04$ (95%CI:1.01-1.07) და ტერფის მიკოზით ავადობა სამხედრო სამსახურამდე $OR=3.27$ (95%CI:1.79-5.96) ზრდის ტერფის მიკოზის განვითარების შანსს, მაშინ როცა 2 და მეტი სამხედრო ფეხსაცმლის გამოყენება მონაცვლეობით ამცირებს ამ დაავადების გავრცელებას - $OR=0.21$ (95%CI:0.15-0.29).
6. გამოვლინდა დაავადების კორელაციური კავშირი სხვადასხვა ჰიგიენურ და საყოფაცხოვრებო ფაქტორებთან, კერძოდ ტერფის მიკოზის კლინიკურ გამოვლინებასთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს სამხედრო, რომელსაც სამხედრო ფეხსაცმელი აცვია დღეში დაახლოებით 14 საათი, იყენებს მხოლოდ 1 წყვილ სამხედრო ფეხსაცმელს, სძინავს წინდებით, ხშირად აქვს ნესტიანი ფეხი, აწუხებდა ტერფის მიკოზი ჯარში მოსვლამდე და სარგებლობს საერთო საშხაპით.
7. საქართველოს თავდაცვის ძალებში კლინიკური და ლაბორატორიულად დადასტურებული ტერფის მიკოზის პრევალენტობა მაღალია სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევებთან შედარებით.

რეკომენდაციები:

საქართველოს თავდაცვის ძალებში ტერფის მიკოზის პრევალენტობის შესამცირებლად სასურველია ჩატარდეს რიგი ღონისძიებები:

- ❑ შემუშავდეს ან/და მოძიებულ იქნას პროექტები და პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს ამ დაავადების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გაძლიერებას და ასევე მოაწესრიგებს აღრიცხვიანობას.
- ❑ ქვედანაყოფის სამედიცინო პერსონალის მიერ მუდმივად ჩატარდეს მონიტორინგი, რათა მოხდეს გამოვლენილი შემთხვევების დროული მკურნალობა.
- ❑ განსაკუთრებით ყურადღება იქნას გამახვილებული ახალწვეულების სამედიცინო შემოწმებაზე და იმ შემთხვევაში თუ ახალწვეულს დაუდგინდა ტერფის მიკოზი ჯარში მოსვლამდე, კარანტინის პირობებშივე იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი მკურნალობით.
- ❑ დაავადების პრევენციისათვის აუცილებელია ყოველი სამხედრო იყოს ინფორმირებული ამ პათოლოგიისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ.
- ❑ ლოგისტიკური უზრუნველყოფის სამსახურებისათვის საჭიროა გაიცეს რეკომენდაციები რათა სამხედროები უზრუნველყოფილნი იყვნენ პირადი მოხმარების ნივთებით, რომ არ ჰქონდეთ საზიარო ნივთები: რეზინის ჩუსტი, ფეხსახოცით, ბამბის წინდები და ა.შ.
- ❑ ასევე უნდა მოხდეს საშხაპეების მუდმივი ვენტილაცია, გამოშრობა და დეზინფექცია.
- ❑ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამხედრო ფეხსაცმლის ხარისხის კონტროლს შესაბამისი სამსახურების მხრიდან.

- ❑ საქართველოს ჰავის ნაირგვარობიდან გამომდინარე რეკომენდირებულია ქართველი სამხედროები უზრუნველყოფილნი იქნან ზაფხულის და ზამთრის სეზონის შესაფერისი სამხედრო ფეხსაცმლით.
- ❑ კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დაავადების პრევალენტობას შეამცირებს ის ფაქტი, რომ სამხედროს ერთდროულად ჰქონდეს 2 ან მეტი წყვილი სამხედრო ფეხსაცმელი, რაც განაპირობებს იმას რომ სამხედროებს არ მოუწევთ ნესტიანი ფეხსაცმლის ჩაცმა და ფეხსაცმელი მოასწრებს გამოშრობას.

შეჯამება

- ❑ კვლევების ანალიზით ჩანს, რომ ტერფის მიკოზის გავრცელება სამხედროებში ძალიან მაღალია. მიღებული შედეგების ანალიზის მიხედვით მკაფიოდ შეიძლება გამოვყოთ სამხედროები ამ დაავადების რისკ-ჯგუფის მქონე პოპულაციად.
- ❑ მართალია ტერფის სოკო სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებას არ წარმოადგენს, მაგრამ გავრცელების მაღალი სიხშირისა და კონტაგიოზურობის გამო რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად.
- ❑ აუცილებელია ფართო მასშტაბიანი სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ ამ დაავადებით გამოწვეული დისკომფორტი ქართველ სამხედროებში.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Medicine
Clinical and Transnational Medicine

Nana Kintsurashvili
Epidemiology issues of tinea pedis in Georgian Defense
Forces

PhD theses

George Galdava
Professor, MD, PhD.

Tbilisi
2020

Actuality

Tinea pedis is one of the most common superficial fungal infection of the skin in all regions of the world. Tinea pedis is a dermatophyte foot infection that mostly damages interdigital web spaces or the sides of the feet and the skin of the toes. Fungal infection caused by dermatophytes, represents a significant health care problem. Approximately 70% of the world's population has suffered tinea pedis at least once in a life. Various factors cause the spread of fungal diseases. Among them are the high temperature, increased humidity, increase in urbanization, intensive use of sports and fitness facilities. As this pathology has contagious and recurrent nature, it creates a favorable environment for the fungal diseases to spread over the hands, groin and nails. There are many unpleasant sensations associated with this disease, such as: itching, pain, cracking of the skin, unpleasant odor. Due to the pathogenesis of the disease, it attracts a lot of bacteria and causes various inflammatory reactions in skin lesions on the foot region. For above-mentioned reasons, it represents a medical and social problem, even though more than 500 million USD is spent around the world on medication treatment each year.

Tinea pedis got widespread in the second part of the 20th century. It was caused by the increase in urbanization, intensive development of sports and fitness facilities. It is known that certain occupational groups are exposed to a particularly high risk of infection. For example, up to 79.2% of miners and 31% of marathon runners examined had mycologically proven tinea pedis.

Tinea pedis is a widely spread infection among soldiers. According to the available literary sources, it is confirmed that the prevalence of tinea pedis in the militaries is significantly higher than in the civilians. This is caused by the following factors - hermetic clothes; sweatiness because of physical load and emotional stress; regular usage of military boots; army life features contributing a high risk of infection's transmission (communal shower room, barracks, water pools.)

Aim:

